

სა — ო: დანიშნულების სახელთა მაწარმოებელ აუქციებში ყველაზე აქტიურია სა — ო. იგი დაერთვის თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს. ა) არსებითს: სა-გვირაბ-ო, სა-გუნდ-ო... ბ) ზედსართავს: სა-ღარიბ-ო, სა-ბრიყვ-ო... გ) რიცხვითს: სა-ერთ-ო... დ) ნაცვალსახელს: სა-ჩემ-ო, სა-იმათ-ო... ე) ზმნისართს: სა-ზენა-ო, სა-გარე-ო... ვ) თანდებულს: სა-თანა-ო... ზ) ნაწილაკს: სა-არა-ო, სა-თუ-ო... თ) სახელზმნას: სა-ძიებ-ო, სა-ოცნებ-ო, სა-გამომჭრელ-ო... ი) წარმოქმნილ სახელებს: სა-ნედლ-ეულ-ო, სა-ცხენ-ოხნ-ო, სა-მე-თვალყურ-ე-ო... კ) რთულფუძიან სახელებს: სა-ბიბლიოთეკათმცოდნე-ო, სა-თავმჯდომარე-ო... ლ) უცხო წარმომავლობის სახელებს: სა-ექსპლუატაცი-ო, სა-კოორდინაცი-ო...

სა — ო დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს: ფუძის ბოლოკიდურად დასტურდება ყველა თანხმოვანი (პ-ს გარდა). ნაწარმოები ფუძე შეიძლება იყოს: ერთ-, ორ-, სამ-, ოთხ- და მეტ-მარცვლიანი.

უცხო წარმომავლობის სახელთაგან თვისების აღმნიშვნელი ზედსართავები უმთავრესად -ურ სუფიქსით იწარმოება: პოლიტიკ-ურ-ი, ტექნიკ-ურ-ი... თანამედროვე მწიგნობრულმა მეტყველებამ ამავე მნიშვნელობით განოიყენა სა — ო და -ობრ-ივ-მაწარმოებლიანი ფორმები: სა-არქიტექტურ-ო, სა-კვარტალ-ო, დარგობრ-ივ-ი, ტიპ-ობრ-ივ-ი...

სა — ე კონფიქსი ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოებს დანიშნულებისა და განკუთვნების შინაარსის სახელებს: სა-ქვაბ-ე, სა-ნერგ-ე, სა-თით-ე, სა-ყავ-ე... იშვიათად დაერთვის ზედსართავებსა და სახელზმნებს: სა-წმინდ-ე, სა-ტიალ-ე... სა-სიკვდილ-ე, სა-ბორკილ-ე...

სა — ე დაერთვის ქართული წარმოშობის (ან ქართულში ძველთაგანვე შესისხლხორცებულ) ერთ- ან ორმარცვლიან სახელებს. ძალზე იშვიათია რთულ ფუძეზე, ნაწარმოება და უცხო წარმომავლობის სახელებზე მისი დართვის შემთხვევები: სა-ქინძისთავ-ე, სა-მარცვლ-ეულ-ე...

როგორც ცნობილია, სა — ე და სა — ო კონფიქსთა ძირითადი ფუნქცია დანიშნულებისა და განკუთვნების სახელთა წარმოებაა. ზოგჯერ ისინი ერთსა და იმავე ფუძეს დაერთვიან და იდენტური შინაარსის სახელებს ქმნიან. მაგ.: სა-ულვაშ-ე//სა-ულვაშ-ო, სა-ბალახ-ე//

გვ. 133; ლ. კვ ა ზ ა ძ ე, ქართული ენა, გვ. 172; ილ. დ ლ ო ნ ტ ი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 122; ო. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმის შესწავლისათვის: ქესს, II, 1961 წ. გვ. 134—135; ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დანიშნულების სახელთა წარმოების მოდელები თანამედროვე ქართულში; ილ. პუშკინის სახ. პედ. ინსტ. XXXVII სამეცნ. კონფ. თეზისები, 1972, გვ. 56.

სა-ბალახ-ო, სა-ბანაკ-ე//სა-ბანაკ-ო, სა-ბუნავ-ე//სა-ბუნავ-ო, სა-
მიზნ-ე//სა-მიზნ-ო... მაგრამ უფრო ხშირია შემთხვევები, სადაც სა — ე
და სა — ო კონფიქსთა ერთსა და იმავე ფუძეზე დართვისას განსხვა-
ვებული სემანტიკის სახელება მიღებული. ზემოთ აღნიშნული გვაქვს,
რომ დანიშნულების სახელები ხშირად გასუბსტანტივებულია, ამიტომ
პარალელურ ფორმათაგან თუ ერთი სახელი კონკრეტული საგნის
აღნიშვნელი გახდა (გასუბსტანტივდა), მეორე სახელი დანიშნულე-
ბანკუთვნებმა მაჩვენებელია. მაგ.: სა-თვალ-ე და სა-თვალ-ო; სა-
უკუნ-ე//სა-უკუნ-ო, სა-გულ-ე//სა-გულ-ო, სა-კბილ-ე//სა-კბილ-ო...

სა — ურ კონფიქსი აწარმოებს მხოლოდ ერთმარცვლიან ქართულ
ფუძეებს: სა-ბად-ურ-ი, სა-ამ-ურ-ი, სა-ზურგ-ულ-ი, სა-თვალ-ურ-ი,
სა-მაჯ-ურ-ი... ხმოვანთაგან კი მხოლოდ ა-სა და ე-ზე დაბოლოებუ-
ლებს: სა-სთა-ულ-ი, სა-გზა-ურ-ი, სა-მზე-ურ-ი...

ეს კონფიქსი არ დაერთვის უცხო წარმომავლობის სახელებს.

სა — ურ კონფიქსი დასტურდება ძველ ქართულშიც: სა-ბეჭ-ურ-ი,
სა-განძ-ურ-ი, სა-მედე-ურ-ი, სა-სმ-ურ-ი, სა-ყან-ურ-ი, სა-ძნა-ურ-ი...
ამგვარად ნაწარმოები ფორმები შემოინახა დიალექტებშიც: სა-
დგამ-ურ-ი, სა-კენჭ-ურ-ი, სა-ფთ-ურ-ი, სა-გვერდ-ულ-ი...

სა — ურ-მაწარმოებლიან დანიშნულების სახელთა უმრავლესობა
გაარსებულია: სა-გზ-ურ-ი, სა-დგ-ურ-ი, სა-თა-ურ-ი, სა-თბ-ურ-ი,
სა-ლამ-ურ-ი, სა-რთ-ულ-ი, სა-რჩ-ულ-ი.

ეს ტენდენცია ძველ ქართულშივე შეიმჩნეოდა: სა-ბარკ-ულ-ი
(ძვ. საწვივე აბჯარი, საბა, VI), სა-ბეჭ-ურ-ი (1. ძვ. მოკლე წამოსასხამი,
VI), სა-კანჭ-ურ-ი (ძვ. ერთგვარი სამკაული, საწვივე, VI), სა-ქართ-
ულ-ი (ძვ. წვივსაკრავი, VI), სა-ნთ-ურ-ი (ძვ. სიმებიანი საკრავი, VI).

სა — ურ კონფიქსით შექმნა ახალ სალიტერატურო ქართულში
დანიშნულების აღნიშვნელი სახელები: სა-ამურ-ი, სა-თეს-ურ-ი, სა-
თვალ-ურ-ი, სა-თოფ-ურ-ი, სა-კეტ-ურ-ი, სა-მაჯ-ურ-ი, სა-მერცხ-
ულ-ი, სა-გვერდ-ულ-ი, სა-მკლავ-ურ-ი, სა-ფეხ-ურ-ი.

სა — ურ- კონფიქსიან სახელთა გახშირებას ბელი შეუწყო ტერ-
მინთა შექმნის საჭიროებამაც. მაგ.: სა-ზეთ-ურ-ი (ტექნ. მანქანის ნა-
წილი, რომელშიც ზეთია ჩასხმული, VI), სა-მაგრ-ულ-ი (ზღვ. ბაგირი,
რომელსაც ხომალდის ანძის ზემოთა ნაწილს ამაგრებენ, VI), სა-ყელ-
ურ-ი (ტექნ. ქანჭიკის თავის ან ქანჩის ქვეშ ამოსადები ნახერტიან
ფირფიტა, VI), სა-წვეთ-ურ-ი (პიპეტი, VI)...

სა — ურ-მაწარმოებლიან ტერმინებში აღსანიშნავია ერთი წგუ-
ფი, რომელიც ზმნური ფუძისაგანაა ნაწარმოები: სა-ბმ-ულ-ი (ტექნ.
ტივის, ნავის, ფიცრებისა და სხვ. შეკავშირება, VI), სა-გდ-ულ-ი (ტექნ.
წყლის გადასაღობი კაშხალში, ფარი, VI), სა-ვარგ-ულ-ი (სოფლ.
მეურნ. სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი ადგილი, VI) სა-ზარდ-

ულ-ი (ანატ. მუცლის ქვედა ნაწილი, VI), სა-კვებ-ურ-ი (სბეც. ჭურ-
ჭელი, რომლითაც პირუტყვის საკვებს აძლევენ), სა-ნათ-ურ-ი (სბეც.
1. გენბანში ამოჭრილი კარი ტრიუმში შესასვლელად, 2. წვრილი
ხერვლი, მილი), სა-წვეთ-ურ-ი (პიპეტი, VI). ეს მოვლენა ძველ ქარ-
თულშივე ისახება, ზმნური ფუძეებისაგანაა ნაწარმოები: სა-ცნა-ურ-ი,
სა-ძნა-ურ-ი (სამწუხარო), სა-წყა-ულ-ი, სა-სწა-ულ-ი, სა-კიდ-ურ-ი,
სა-შკა-ულ-ი, სა-ფრთხ-ულ-ი...

ოღენ სა — ურ-მაწარმოებლიანი ფორმებია: სა-ბეჭ-ურ-ი, სა-
გერდ-ულ-ი, სა-ზარდ-ულ-ი, სა-კანჭ-ურ-ი, სა-კარ-ულ-ი, სა-კენჭ-
ურ-ი, სა-ლამ-ურ-ი, სა-ნეკ-ურ-ი, სა-რჩ-ულ-ი, სა-ყვედ-ურ-ი, სა-რწყ-
ულ-ი, სა-სთა-ულ-ი, სა-ტკბ-ურ-ი, სა-ფთ-ურ-ი, სა-ვარგ-ულ-ი, სა-
წმართ-ულ-ი, სა-შაგრ-ულ-ი.

სა — ე//სა — ურ და სა — ო//სა — ურ აფიქსები (ან სამივე კონ-
ფიქსი ერთად) ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეს დაერთვის და განსჯა-
ვებული სემანტიკის სახელს აწარმოებს. რამდენიმე სინონიმური მნი-
შენელობის ფორმიდან დროთა განმავლობაში ერთი კარგავს თავის
პირვანდელ დანიშნულებას და არსებით სახელთა ჯგუფში გადადის:

ა) სა — ურ-კონფიქსიანი ფორმა გაარსებითებულია, სა — ე ან
სა — ო-მაწარმოებლიანი კი დანიშნულების გამომხატველია:

1. სა-ბარგ-ულ-ი (ბარგის საზიდარი, VI).

სა-ბარგ-ო (ბარგისათვის განკუთვნილი, VI).

2. სა-თვალ-ურ-ი (პატარა სარკმელი, VI).

სა-თვალ-ე (1. ორი მინისაგან შემდგარი ხელსაწყო მხედვე-
ლობის გასაუმჯობესებლად, 2. ჭუჭყრუტანა...).

სა-თვალ-ო (თვალადი, კარგი შესახედი, VI).

3. სა-კოჭ-ურ-ი (პიჭის თასმა ფეხისგულზე ამოსადებად, VI)

სა-კოჭ-ე (კოჭისათვის განკუთვნილი, VI).

4. სა-გზ-ურ-ი (ოფიციალური მოწმობა... VI).

სა-გზა-ო (1. გზისათვის განკუთვნილი, 2. გზაზე მოსახმარი, VI)

5. სა-ზეთ-ურ-ი//სა-ზეთ-ე

ბ) ერთ შემთხვევაში სა — ურ-კონფიქსიანი ფორმა დანიშნულე-
ბის მაჩვენებელია, სა — ო-მაწარმოებლიანი კი — გაარსებითებულია:
სა-ლამ-ურ-ი (სალამისათვის განკუთვნილი VI), სა-ლამ-ო (1. დრო დღის
დასასრულიდან ღამის დაწყებამდე, მწუხრი, VI).

სა — ე და სა — ურ, სა — ო და სა — ურ კონფიქსებით ერთი და
იმავე ფუძისაგან ერთნაირი სემანტიკის სახელებია ნაწარმოები. შდრ.
სა-კეც-ე//სა-კეც-ურ-ი, სა-კვამლ-ე//სა-კვამ-ურ-ი, სა-განძ-ე//სა-განძ-
ურ-ი, სა-თაგ-ე//სა-თაგ-ურ-ი, სა-თით-ე//სა-თითურ-ი, სა-მკლავ-ე//სა-
მკლავ-ურ-ი, სა-მაჯ-ე//სა-მაჯ-ურ-ი... სა-ყედ-ო//სა-ყედ-ურ-ი, სა-
ამ-ო//სა-ამ-ურ-ი. ორი ერთნაირი შინაარსის სახელი ზოგჯერ სხვადა-

სხვა ფუნქციით აღჭურვა ენამ. სემანტიკური სახეცვლილების ეს ფორმა ენისათვის დამახასიათებელია. შდრ. 1. **სა-თბ-ურ-ი** (ორანჯერა), **სა-თბ-ილ-ო** (საკლავის ნაწილი ზურგის უკანასკნელი ნეკნიდან გავამდე, VI), 2. **სა-ხელ-ურ-ი** (საგნის ის ნაწილი, როლითაც მას ხელში იჭერენ, VI), **სა-ხელ-ო**.

სა — ურ- მაწარმოებლიან ფორმას ხშირად ენაცვლება მიმდებარე ფორმები: ოდენ **სა-პრეფიქსიანი** და **სა — არ-**მაწარმოებლიანი.
სა-დგ-ურ-ი — **სა-დგამ-ი**
სა-ზეთ-ურ-ი — **სა-ზეთ-ი**
სა-კვებ-ურ-ი — **სა-კვებ-ი**
სა-ნათ-ურ-ი — **სა-ნათ-ი**
სა-წვეთ-ურ-ი — **სა-წვეთ-ი**
სა-წვიმ-ურ-ი — **სა-წვიმ-არ-ი**
სა-კიდ-ურ-ი — **სა-კიდ-არ-ი**

ასახსნელია დიდი შინაარსობრივი და ფორმოობრივი მსგავსება დანიშნულების სახელებსა და მამაკალი დროის ვნებითი გვარის მიმდებარეებს შორის.

სა — ე და **სა — ურ** კონფიქსთა კონტამინაციით მადებული ფორმებია: **სა-ყბ-ე-ურ-ი**, **სა-მზრ-ე-ულ-ი**.

სა-: ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულისათვის უცხო მოვლენად არის მიჩნეული „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“. ვ. ბერიძემ და ქ. ლომთათიძემ რამდენიმე ოდენპრეფიქსული ფორმა გამოავლინეს: **სა-გან-ი**, **სა-ციფ-ი**, **სა-დილ-ი**, **სა-კომ-ი**, **სა-ქარ-ი**⁵⁹. გ. ბურჭულაძისა და გ. გოგოლაშვილის გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულისათვის უძველესი მოვლენაა. ამიტომ ზოგ მათგანს დაკარგული აქვს თავდაპირველი მნიშვნელობა — დანიშნულების გამოხატვა — და სახელი გასუბსტანტივებულია⁶⁰.

„ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ დასახელებულია ოდენ **სა-**პრეფიქსით ნაწარმოები 29 სახელი. სამ მათგანს პარალელური **სა — ო** მაწარმოებლიანი ფორმაც მოეპოვება: **სა-ბრძოლ-ი/-ო**, **სა-მზირ-ი/-ო**, **სა-კელ-ი/-ო**. დიდი უმრავლესობა დანიშნულებაზე მიუთითებს: **სა-გრილ-ი**, **სა-ზომ-ი**, **სა-ისარ-ი**, **სა-მჭარ-ი**, **სა-ყურ-ი**, **სა-ყურძენ-ი**, **სა-ეჭვ-ი**, **სა-მზირ-ი**, **სა-წვეთ-ი** **სა-მარხ-ი**. გასუბსტანტივებულია: **სა-ბელ-ი**, **სა-დილ-ი**, **სა-კარგ-ი**, **სა-ლბუნ-ი**, **სა-მხარ-ი**, **სა-რომ-ი**, **სა-ტკორც-ი** (ისარი)...

59 ვ. ბერიძე, საჯან სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, გვ. 337; ქ. ლომთათიძე, დილა სიტყვის დილ სახეობისათვის „ვეფხისტყაოსანში“; იკე, XV, გვ. 35—36.

60 ვ. ბურჭულაძე, სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოებისათვის ქართულში; გ. გოგოლაშვილი, პრეფიქსული სიტყვაწარმოება ქართულში. გვ. 42—50.

ოდენ პრეფიქსით ნაწარმოებ ზოგ სახელს **სა** — **ე** და **სა** — **ო** აფიქსებთან ფორმებიც მოებოვებათ საპირისპიროდ:

სა-კინძ-ი — სა-კინძ-ე	სა-ქარ-ი — სა-ქარ-ე
სა-მარ-ი — სა-მარ-ე	სა-ეჭე-ი — სა-ეჭე-ო
სა-ფას-ი — სა-ფას-ე	სა-ჯერ-ი — სა-ჯერ-ო

მაგრამ იგრძნობა თანამედროვე ქართული ენის ტენდენცია — პრეფიქსი კვლავ დატვირთოს სიტყვაწარმოებითი ფუნქციით: **სა-ბედ-ურ-ა**, **სა-ბუხარ-ი**, **სა-ეჭვ-ი**, **სა-კინძ-ი**, **სა-მრავლ-ი**, **სა-ნათ-ი**, **სა-სწორ-ი**, **სა-ქონ-ი**, **სა-შიშ-ი**, **სა-მყარ-ი**, **სა-ზეთ-ი**, **სა-წვეთ-ი** (გაუდიფერენცირებელია სახელური და სახელწმნური ფუძე).

ოდენპრეფიქსული ფორმები ტერმინთა საწარმოებლად გამოიყენა ენამ: **სა-მარჯვ-ი** (ტექნ. მიწყობილობა რაიმე ტექნიკური მიზნისათვის, VI), **სა-მრავლ-ი** (მათემ. რიცხვი, რომელიც მრავლდება მამრავლზე, VI), **სა-მტკიც-ი** (მჭიდროდ ნაქსოვი საცერი, VI), **სა-მყარ-ი** (ტექ. ფოლადის ფალიბი თუჯის ან ფოლადის ზოდების ჩამოსასხმელად, VI), **სა-რიგ-ი** (1. რიგის აღმნიშვნელი, 2. ეთნ. რიგისათვის მიცვალებულის წესის ასაგებად განკუთვნილი, VI), **სა-შორ-ი** (აბეც. რისამე დასაშორებლად დატანებული ფენა ან საგანი, VI).

სა — **არ**: დანიშნულების სახელთა მაწარმოებლებს შორის **სა** — **არ** კონფიქსსაც ასახელებენ⁶¹. **სა** — **არ** (→**სა** — **არ**) „გავრცელებულია ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ სახელებში. ამგვარი წარმოების ბევრი სიტყვა არსებობს: **სა-ბუდ-არ-ი**, **სა-ჩივ-არ-ი**... ზოგიერთს შენახული აქვს ზედსართაული მნიშვნელობა: **სა-ოც-არ-ი** (ამბავი); **სა-ომარ-ი** (იარაღი); **სა-ნუკვ-არ-ი** (ოცნება); **სა-ზიზღ-არ-ი** (არსება)“⁶².

ამგვარადგვა ნაწარმოები: **სა-კოტ-არ-ი**, **სა-გუბ-არ-ი**, **სა-ფუ-არ-ი**, **სა-ქუხ-არ-ი**, **სა-ყდ-არ-ი**, **სა-ჩივ-არ-ი**, **სა-ჩუქ-არ-ი**, **სა-წვიმ-არ-ი**, **სა-ხედ-არ-ი**, **სა-მძიმ-არ-ი**, **სა-ტერფ-ალ-ი**, **სა-კუდ-არ-ი**. გაარსებითებულია: **სა-ყდ-არ-ი**, **სა-ჩუქ-არ-ი**, **სა-ხედ-არ-ი**...

ამჟამად ცნობილია, რომ ახალ სალიტერატურო ქართულში დანიშნულების სახელთა ყველაზე მოკმედი და გავრცელებული მაწარმოებელია **სა** — **ო**. საყურადღებოა, რომ აფიქსთა განაწილების თვალსაზრისით არსებითად ამგვარივე მდგომარეობა იყო ძველ ქართულშიც. ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“ ამოწერილ მასალაში **სა** — **ო**-მაწარმოებლიანია 105 სახელი, **სა** — **ე**-მაწარმოებლიანი — 65, **სა** — **ურ**-იანი 20 სახელი, **სა**-მაწარმოებლიანი კი — 29.

დანიშნულების სახელთა გაანალიზებამ ცხადყო, რომ აფიქსთა სიხშირეს განსაზღვრავს ფუძეებთან მათი მიმართება. ასე, მაგ.: **სა** — **ო**

61 აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 134.

62 ლ. კვაჭავაძე, ქართული ენა, გვ. 172.

დაერთვის ნებისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანზე დაბოლოებულ ერთ-, ორ-, სამ- და მრავალმარცვლიან ფუძეს — ქართულსაც და უცხო წარმომავლობისასაც, ძირეულ ფორმასაც და ნაწარმოებ სახელსაც. **სა — ო** კონფიქსი დანიშნულების სახელებს აწარმოებს თითქმის ყველა მეტყველების ნაწილისაგან: არსებითის, ზედსართავის, ნაცვალსახელის, სახელწმინა, ზმნისართის, თანდებულისა და ნაწილაკისაგან. **სა — ე** კონფიქსი კი დაერთვის მხოლოდ ქართული წარმოშობის (ან ქართულში ძველთაგანვე შესასხლხორცებულ) ერთ- ან ორმარცვლიან არსებით სახელს. ძალზე იშვიათია მისი ხმარება ზედსართავ სახელთან და უცხო წარმომავლობის სახელებთან. უფრო მკაცრადია განსაზღვრული **სა — ურ** აფიქსის დართვის შემთხვევები. იგი დაერთვის მხოლოდ ქართული წარმოშობის ერთმარცვლიან ფუძეებს, ხმოვანთაგან კი — მხოლოდ **ა-სა** და **ე-ზე** დაბოლოებულებს. **სა — ურ** ვერ აწარმოებს მრავალმარცვლიან ფუძეს, უცხო წარმომავლობის სახელებსა და ნაწარმოებ ფორმებს.

სა — ო-კონფიქსი ან სახელთა გახშირების მიზეზი ისიცაა, რომ უცხო წარმომავლობის სიტყვათაგან აწარმოებს თვისების აღმნიშვნელ სახელებს.

VI. წინა მითარების სახელები

ნა — ბრ (→**ნა — ბლ**), **ნა — ევ** (→**ნა — ებ**), **ნა — ურ**, **ნა-**

წინა ვითარების სახელთა მაწარმოებელ კონფიქსებში საერთო ელემენტია თავსართი **ნა-**, რომელიც ნამყოფობასა და წინა ვითარებაზე მიუთითებს. ამასი გვარწმუნება ნამყო დროის ენებითი გეარის ფორმათა ანალიზიც: **ნა-გლინ-ი**, **ნა-მსხვრ-ევ-ი...**

დასახელებულ კონფიქსთაგან ყველაზე აქტიურია **ნა — არ** და **ნა — ევ**. ისინი უმთავრესად არსებით სახელებსა და სახელწმინებს დაერთვიან: **ნა-საყდრ-ალ-ი**, **ნა-ღვინ-ევ-ი**, **ნა-დედოფლ-არ-ი**, **ნა-მტირ-ალ-ევ-ი...** იშვიათად კი — ზედსართავებსა და ზმნისართებს: **ნა- გიუ-არ-ი**, **ნა-გვიან-ევ-ი...** **ნა — არ** და **ნა — ევ** კონფიქსები უმთავრესად დაერთვის ქართული წარმოშობის (ან ქართულში ძველთაგანვე შესასხლხორცებულ) სახელებს, იშვიათად ნაწარმოებ სახელებს: **ნა-სა-დგ-ურ-ალ-ი**, **ნა-ჭა-ობ-არ-ი**, **ნა-მო-სა-მსახ-ურ-ევ-ი...** უცხო სიტყვათაგან ყოველობის აღსანიშნავად ენა აღწერით წარმოებას მიმართავს: ყოფილი რექტორი (**ნა-რექტორ-ალ-ის** ნაცვლად), ყოფილი დირექტორი (**ნა-დირექტორ-ალ-ის** ნაცვლად)... თუმცა არის ტენდენცია ორგანული წარმოების ფორმებით შეიცვალოს შემთხამოთვლილი სახელები: **ნა-მინისტრ-ალ-ი**, **ნა-ჩინოვნიკ-არ-ი**.

ნა — არ და ნა — ევ კონფიქსთა გარკვეულ ფუძეებთან განაწილებების თვალსაზრისით რაიმე კანონზომიერების დადგენა ძნელდება⁶³.

წინა ვითარება ზოგჯერ ნა — ურ კონფიქსითაც აღინიშნება: ნა-გზა-ურ-ი//ნა-გზ-ურ-ი (1. ადგილი, სადაც წინათ გზა იყო, 2. ნავალი, ნამგზავრი, V); ნაკიდ-ურ-ი („ნაპირი, საზღვარი“, — დ. ჩუბანი, V), ნა-ფეხ-ურ-ი, ნა-წიბ-ურ-ი, ნა-გვერდ-ულ-ი (სპეც. გვერდების ჩანათალი, V), ნა-ღამ-ურ-ი... ამ სახელებში უფრო ძველი ჩანს ეს ტიპი, რომელიც ზმნური ფუძეებისაგან არის ნაწარმოები: ნა-ზღა-ურ-ი, ნა-კრა-ულ-ი (ძვ. ბოხია, V), ნა-ნდა-უზ-ი (სასურველი, V), ნა-რთა-ულ-ი, ნა-ხმე-ურ-ი (ფშ. მიღებული საჭმელი, დალეული ღვინო, V)... თარიღდ შემთხვევაში ნა — ურ კონფიქსი ნა — არ და ნა — ევ კონფიქსთა პარალელურად გვხვდება. შდრ.: ნა-გვერდ-ულ-ი//ნა-გვერდ-ალ-ი, ნა-ფეხ-ურ-ი//ნა-ფეხ-არ-ი, ნა-ღამ-ურ-ი//ნა-ღამ-ევ-ი...

წინა ვითარების სახელები ოდენ ნა- პრეფიქსითაც იწარმოება: ნა-ღავლ-ი, ნა-კბილ-ი, ნა-ლაქ-ი, ნა-მორ-ი, ნა-ნერგ-ი, ნა-ოფლ-ი, ნა-ტაბლ-ი, ნა-სიცხ-ი, ნა-ცრემლ-ი, ნა-პირ-ი, ნა-ძირ-ი, ნა-წილ-ი, ნა-ხერხ-ი, ნა-ფურცლ-ი... ამგვარად ნაწარმოებ სახელთა ერთი ნაწილი გაარსებულია: ნადავლი, ნაწილი, ნაერთი, ნახერხი... ეს მოვლენა ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩასახლდა: ნაცილი (ძვ. ტყუილი); ნა-ფრცხენი (ძვ. „მცირე რამ ანახეთქი“, საბა, V), ნახხამი (ძვ. ანატ. სახსარი, საღრეცი, V), ნაბიჯი, ნაბძარი (ჭრელი ნაბზარი, ძველ), ნაცარი.

ზოგიერთ შემთხვევაში ძნელდება გარკვევა, ნა-პრეფიქსიანი ფორმა წინა ვითარების აღმნიშვნელ სახელია თუ ნამყო დროის ენებითი გვარის მიმღობა: ნა-ფურცლ-ი, ნა-მრავლ-ი, ნა-ბზარ-ი, ნა-ლურსმ-ი, ნა-ლაქ-ი, ნა-ბურც-ი, ნა-ბრუნ-ი, ნა-ნერგ-ი, ნა-ბუქ-ი, ნა-კვანძ-ი... ეს კი იმის შედეგია, რომ მიმღობა ნაწარმოებია ნაახელარი ფუძისაგან: ფურცელი — ფურცლავს, ბუქი — ბუქავს, ლურსმანი — ლურსმავს, ბორცი — ბურცავს, კვანძი — კვანძავს, ბზარი — ბზარავს, ნერგი — ნერგავს...

ნა-მაწარმოებლიანი მიმღობები გასუბსტანტივების ტენდენციას იჩენენ: ნა-კუწ-ი, ნა-სახ-ი, ნა-ხვეწ-ი, ნა-უურ-ი, ნა-მარხ-ი, ნა-ღებ-ი, ნა-კრძალ-ი, ნა-კვეთ-ი, ნა-კვამლ-ი, ნა-გლინ-ი... „საკმარისია ზმნის ძირისაგან ნაწარმოებ სახელს — მიმღობას ჩამოსცილდეს პრეგერბი, რომ ზმნური ძირის მნიშვნელობა მიიჩქმალდეს, მიმღობის ფორმა

⁶³ ამის შესახებ ვრცლად იხ. თ. ზურაბიშვილი, ნა — ევ და ნა — აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი; ქსკს, I, თბ., 1972, გვ. 151. მ. ტუსკია. სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, საკანდიდატო დისერტაცია, 1975 წ., გვ. 89—90.

დაკარგავს თავისი ზმნისაგან წარმოშობის გაგებას და არსებით სახელად იქცევა⁶⁴.

ოდენ პრეფიქსით ნაწარმოები ფორმები ტერმინებად იქნა გამოყენებული. განსაკუთრებით გახშირდა **ნა-** მაწარმოებლიანი სპეციალური და ტექნიკური ტერმინები: **ნა-ხვეწ-ი** (სპეც. ფარდავის ქსოვის დროს ბაწრის ნარჩენი ბეწვი, V), **ნა-მხარ-ი** (სპეც. მცენარის მთავარი ღერის გვერდზე ამონაზარდი, V), **ნა-კბილ-ი** (სპეც. კბილის მსგავსად გამოშვებული ნაწილი, V), **ნა-ზოლ-ი** (სპეც. იარაღის მოპირული, გალესილი მხარე, V), **ნა-გლინ-ი** (ტექ. რაც გაგლინეს, V), **ნა-ბურც-ი** (სპეც. ამობურცული ადგილები ფოთოლზე, V), **ნა-ბრუნ-ი** (ტექნ. ერთი შემობრუნება, V), **ნა-ჯვარ-ი** (სპეც. შეჯვარების შედეგად მიღებული, V), **ნა-ჯერ-ი** (ქიმ. სითხე, რომელშიც ზღვრულ შესაძლებლობაზეა გახსნილი რაიმე ნივთიერება, V), **ნა-ყუ-ი** (სტამბ. ნაკლული გვერდი, V), **ნა-ფიფქ-ი** (ზოტან. მცენარის ხედაპირზე არსებული უმცირესი ნაწილაკების თხელი ფენა, V), **ნა-მრავლ-ი** (მათემ. გამრავლების შედეგად მიღებული რიცხვი, V), **ნა-მარხ-ი** (პალეონტ. უძველეს გეოლოგიურ ეპოქებში არსებული და აწ უკვე გადაშენებული მცენარის თუ ცხოველის ნიშნის ანაბეჭდი, V).

წინა ვითარების სახელებში უძველესი უნდა იყოს ის ტიპი, რომელიც მხოლოდ პრეფიქსითაა ნაწარმოები⁶⁵. ენის განვითარების შემდეგ საფეხურზე კი უპირატესობა უნდა მისცემოდა კონფიქსურ წარმოება: **ნა — არ, ნა — ევ, ნა — ურ**. თანამედროვე ქართულში კვლავ შეინიშნება ტენდენცია, რომ ოდენ პრეფიქსმა აღნიშნოს წინა ვითარება. ოდენ **ნა-** პრეფიქსიან ფორმათა გახშირებაა უთუოდ შეუწყო ხელი: 1. ვნებითი გვარის მიმუღობათა ანალოგიამ და 2. ტერმინოლოგიური საჭიროებისათვის მისმა ჩშირმა ხმარებამ.

VII. ხელობის (პროფესიის) სახელები

მე — ე, მე — ურ, მო — ე (მო — ურ)

ხელობის (პრეფიქსისა და მოსაქმეობის) აღმნიშვნელი სახელები იწარმოება **მე — ე, მე — ურ, მო — ე** კონფიქსებით.

ხელობის სახელები სულიერი საგნის აღმნიშვნელი არსებობები არიან: **მე-გვირაბ-ე, მე-ტყე-ე-ე, მე-ტოლ-ე...** მაგრამ შესაძლოა ზედსართავის როლშიც მოგვევლინოს: **მე-ურმ-ე** კაცი...

⁶⁴ გ. ბრელიძე, პარალელური წარმოებანი საობიექტო მიწვევებში: თსუ სტუდ. შრომები, ტ. VII, 1970, გვ. 40.

⁶⁵ არნ. ჩიქოზავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 184.

ხელობის სახელები ძირითადად არსებითი სახელოსაგან იწარმოება. მე-ჯოგ-ე, მე-ბრძმედ-ე... გამონაკლისს სახით კი — ზედსართავისაგან: მე-უ-მრავლ-ეს-ე, მე-უ-მცირ-ეს-ე... ზმნისართავსაგან: მე-წინა-ვ-ე, მე-ხვალ-ი-ე... სახელზმნისაგან: მე-მარხ-ულ-ე, მე-მე-ძებრ-ე...

მე — ე კონფიქსი დაერთვის როგორც ქართულ, ასევე უცხო წარმომავლობის სახელებსაც: მე-იგავ-ე, მე-თევზ-ე, მე-ყვავილ-ე... მე-სკრებრ-ე, მე-ლინოტიპ-ე... მე-ინსტრუმენტ-ე... ფუძის ბოლოკიდურად კი შესაძლებელია ნებისმიერი ხმოვანი და თანხმოვანი (ჰ-ს გარდა).

მე-მადარო-ე, მე-ტრანსპორტ-ე ფორმათა პარალელურად არსებობს -ელ-მაწარმოებლიანი შესაბამისი მნიშვნელობის სახელები: მა-ლარო-ელ-ი, ტრანსპორტ-ელ-ი... უცხოურადიქსიანი პროფესიის სახელების პარალელურად შეიქმნა მე — ე-მაწარმოებლიანი ფორმებიც: მოდელო-იორ-ი — მე-მოდელ-ე, ლინოტიპ-ისტ-ი — მე-ლინოტიპ-ე.

მე — ურ-კონფიქსიანი ხელობის ჯგუფი მცირერიცხოვანია: მე-ბად-ურ-ი, მე-გზ-ურ-ი, მე-ხვე-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მე-რგოლ-ურ-ი, მე-თოფ-ურ-ი, მე-რძე-ულ-ი, მე-თა-ურ-ი, მე-კომ-ურ-ი...

მე — ურ ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოება ხელობის სახელებს: მე-დედ-ურ-ი, მე-კოშკ-ურ-ი... ძველ ქართულში კი სახელზმნისაგანაც იწარმოებოდა ამ სემანტიკის სახელი: მე-ხვეწ-ურ-ი, მე-ხმ-ურ-ი, მე-რწყ-ულ-ი... (ეს სახელები მიმდებარეობს შინაარსისა: შდრ.: მახვეწარი, მსმელი...).

ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მე — ურ კონფიქსი ზედსართავ სახელს დაერთვის: მე-დიდ-ურ-ი. ახლად წარმოქმნილი ფორმაც ზედსართავია: მე-დიდ-ურ-ი გამომეტყველება.

მე — ურ დაერთვის მხოლოდ ერთმარცვლიან ქართულ ფუძეებს. ა, ე-ხმოვანფუძიან სახელებს: მე-ზღვა-ურ-ი, მე-რძე-ულ-ი... (ერთადერთი შემთხვევაა უ-ხმოვანფუძიან სახელზე დაბრუნება: მე-ძუძ-ურ-ი).

მე — ურ-ადიქსიან სახელთა ძირითადი ნაწილი ძველი ქართული წარმოებისაა. ტერმინოლოგიისათვის შექმნილია ახლად ნაწარმოები: მე-რგოლ-ურ-ი, მე-კოშკ-ურ-ი (სამხ. ტანკის კოშკურიდან მეთვალთვალე ჯარისკაცი, V), მე-კვერცხ-ულ-ი (სპეც. ბევრი კვერცხის მდებარე ქათამი, V), მე-ხორც-ულ-ი (სპეც. ხორცის მომცემი, — სახორცე, V).

მე — ურ-მაწარმოებლიან ფორმას სინონიმური მე — ე-კონფიქსიანი წარმოებაც მოეპოვება. შდრ.: მე-ბარგ-ე//მე-ბარგ-ულ-ი, მე-კლიტ-ე//მე-კლიტ-ურ-ი, მე-თოფ-ე//მე-თოფ-ურ-ი... ძვ. ქართულიდან: მე-თევზ-ე//მე-თევზ-ურ-ი, მე-განძ-ე//მე-განძ-ურ-ი...

მე — ე და მე — ურ კონფიქსთა კონტამინაციით მიღებული ფორმებია: მე-წლ-ე-ულ-ი, მე-ძნ-ე-ურ-ი, მე-რწყ-ულ-ე.

მო — ე: საკმაოდ გახშირდა მო — ე-აფიქსიანი ხელობის სახელებიც: მო-ნადირ-ე, მო-ბეგრ-ე, მო-ბან-ე, მო-აშიც-ე, მო-ადსარებ-ე, მო-ზავ-ე, მო-ჭიდავ-ე, მო-ადგილ-ე, მო-ამბ-ე, მო-თხილაპურ-ე, მო-სარჩლ-ე, მო-შურნ-ე... ძვ. ქართულიდან: მო-ვან-ე (ბერი, დაყუდებული, მოწესე, — ძქელ), მო-კარვ-ე (დამკვიდრებული კარავსა, — ძქელ), მო-ღმრთ-ე (კეთილმსახური), მო-წამლ-ე (მე-წამლ-ე), ეს სახელები სემანტიკურად ახლოს დგანან მო — ე-თი ნაწარმოებ საშუალო გვარის მიმღობებთან: მო-ბიბინ-ე, მო-რაკრაკ-ე, მო-ციგავ-ე... ოღონდ მიმღობებში, როგორც მოსალოდნელია, მეტად იგრძნობა მოქმედებამდგომარეობა. მო — ე აფიქსთა ხელობის სახელების მაწარმოებლად გააზრება უფრო გვიანდელი ნოვლენაა. აქტიური მიმღობები სემანტიკურად ახლოს დგანან ხელობის სახელებთან და გაარსებობის გა-მო ზოგჯერ კარგავენ კიდევ ზმნურ შინაარსს.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მოფარიაკვე მიმღობადაა ჩათვლილი, ხოლო მონადირე, მომშვილდისარე კი — სახელებად. მო-ფარიაკვე←ფარიაკობს, მო-ნადირ-ე←ნადირობს, მო-ყვარ-ე←ყუყარს... აქაც ხომ იგრძნობა კავშირი ზმნურ ძირთან? ამიტომაცაა, რომ მოარშიყე, მოყურიადე... ფორმებს ორმაგი შინაარსი აქვთ — სახელური და სახელზმნური. „სახელისაგან ნაწარმოები სახელისა და ზმნისაგან ნაწარმოები სახელის გამიჯვნა... ყოველთვის არ ხერხდება“⁶⁶.

მე — ე და მო — ე აფიქსება ზოგჯერ ერთსა და იმავე ძირს დაერთვიან და მსგავსი შინაარსის სახელებს აწარმოებენ: მო-ანდერძ-ე//მე-ანდერძ-ე, მო-ზამთრ-ე//მე-ზამთრ-ე, მო-წამლ-ე//მე-წამლ-ე, მო-მთვრალ-ე//მე-მთვრალ-ე, მო-საკუთრ-ე//მე-საკუთრ-ე, მო-ქარავნ-ე//მე-ქარავნ-ე... ზოგჯერ კი აღინიშნება სემანტიკური გადახრებიც: მო-ვალ-ე (1. ვისაც რაიმე ევალება, ვალდებული, 2. ვალის ამღები, V), მე-ვალ-ე (ვალის გამცემი, გამსესხებელი, V), მო-კარვ-ე (ძვ. კარვის პატრონი, V), მე-კარვ-ე (ძვ. კარვის მცველი, V), მო-საზღვრ-ე (1. რაც ან ვინც ესაზღვრება, მომიჯნვე, მეზობელი, V), მე-საზღვრ-ე (საზღვრის მცველი კარისკაცი, V), მო-ხარკ-ე (ძვ. ხარკის გამამხდელი, V), მე-ხარკ-ე (1. ისტ. ხარკის ამკრეფი, 2. (იხ. მო ხარკე, V).

მო — ურ კონფიქსითაა ნაწარმოები: მო-გზა-ურ-ი. მო — ურ აფიქსები ძველ ქართულში ზმნათა ფუძეებისაგან აწარმოებდა აქტიურ მიმღობებს: მო-არ-ულ-ი, მო-ზარდ-ულ-ი, მო-ნან-ულ-ი...

ძველი წარმოებისაა მო — ედ-კონფიქსიანი სახელები: მო-რბ-ედ-ი, მო-რცხუ-ედ-ი, მო-საგრ-ედ-ი.

⁶⁶ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 150.

ოღენძრეფიქსულია: მე-ისარ-ი (მდრ. მე-ისრ-ე), მო-ისარ-ი.

ამგვარად: პროფესიის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია მე — ე კონფიქსი. ამავე ფუნქციით მე — ურ-მაწარმოებლიანი ფორმებიც გვხვდება, რომელთა დიდი ნაწილი ძველ ქართულშივე ჩანს ჩამოყალიბებული. დიალექტებში მე — ურ-კონფიქსიან სახელთა სიჭარბე⁶⁷ გვავარაუდებინებს, რომ ამ კონფიქსის სამოქმედო არე კვლავ ფართოვდება, რასაც გვიდასტურებს ზემოდასახელებული ახლად შექმნილი ტერმინებიც.

მე — ე და მე — ურ კონფიქსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუძეთა შერჩევის თვალსაზრისით: მე — ურ დაერთვის მხოლოდ ერთმარცვლიან ქართული წარმოშობის ფუძეებს, ხმოვანთაგან კი მხოლოდ ა, ე ხმოვნებზე დასრულებულებს. მე — ე კი შეუზღუდავად დაერთვის ქართული და არაქართული წარმოშობის ერთ-, ორ- და მრავალმარცვლიან ფუძეებს. ფუძის ბოლოკიდურად კი შესაძლებელია ნებისმიერი ხმოვანი და თანხმოვანი შ-ს გარდა).

მო — ე-კონფიქსიანი პროფესიის სახელებს ჯგუფის ზრდას ხელი შეუწყო აქტიურ მიმღობათა გასუბსტანტივებამ.

VIII. რიგობით და წილობით რიცხვით სახელთა წარმოება

რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელთაგან მე — ე აფიქსთა დართვით⁶⁸; ხუთ-ი — მე-ხუთ-ე.

წილობით რიცხვით სახელთა საწარმოებლად აღებულია რიგობითი რიცხვითი სახელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით: მე-ორ-ე — მე-ორ-ედ-ი... წილობით სახელთა ამგვარი წარმოება ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, არ დასტურდება. მისი იშვიათი ხმარების შემთხვევები აღწუსებული აქვს ივ. იმნაიშვილს: „და მოსწყდა მესამედი დაბადებულთა ზღვათა“ (გამოცხ. 8, 9)⁶⁹. ამ ნაკლს ძველი ქართული სხვადასხვაგვარად ივსებდა:

1. -ეულ-სუფიქსიანი ფორმებით: ხუთ-ეული-ი = 1/5;

2. ნა — აღ-აფიქსიანი ფორმებით: ნა-ოთხ-აღ-ი⁷⁰;

3. აღწერთად: რიგობითი რიცხვითი სახელითა და „ნაწილ“ სიტყვით:

„მეხუთმე ნაწილი“⁷¹.

⁶⁷ შ. ტუ სკი ა, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, საკანდ. დისერტაცია, 1975, თბ., გვ. 123—168.

⁶⁸ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 136.

⁶⁹ ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., გვ. 465.

⁷⁰ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 137.

⁷¹ ივ. იმნაიშვილი, იქვე.

ნა — აღ-აფიქსიან წარმოებას არნ. ჩიქობავა პირველ საფეხურად მიიჩნევს, მე — ედ-მაწარმოებლიანს კი — შემდგომად⁷².

IX. ხარისხის სახელები

უ — მს (→უ — ოს), მო — ო, წა — ო

როგორც ცნობილია, ქართულში ხარისხის სამი ფორმა არსებობს: დადებითი (დიდ-ი), უფროობითი (უ-დიდ-ეს-ი) და ოდნაობითი (მო-დიდ-ო)⁷³. განსხვავებული მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენებში: მეგრულს, ამას გარდა, აქვს თანაბრობითი ხარისხი, სუანურს კი — აღმატებითი. ხარისხის ყველა ეს ფორმა შედარებით ხარისხში ერთიანდება.

თ. ზურაბიშვილი ქართულში ხარისხის მხოლოდ ერთ ფორმას განიხილავს — „ულამაზესის ტიპისას“⁷⁴, ოდნაობითი ხარისხის ფორმებს (მო-ყვითალ-ო, წა-ლურჯ-ო) ხარისხად არ მიიჩნევს, რადგან „აქ არა გვაქვს არც საგნის ნიშანთა ისეთი შედარება და არც ის სინტაქსური კონსტრუქცია, როგორც შედარებითი ხარისხისათვის არის დამახასიათებელი“⁷⁵.

ზედსართავ სახელთა ერთი თავისებური ჯგუფის მე — ე-კონფიქსიან ფორმათა გაანალიზების შედეგად გ. როგავამ ქართულისთვისაც შესაძლებლად ჩათვლა მეგრული მსგავსი თანაბრობითი ხარისხის ფორმათა არსებობა და მჭლე, მიძმე, მცირე, მტკიცე, მჩატე, მრუმე, მდარე, მწარე, მლაშე...⁷⁶ თანაბრობითი ხარისხის გაქვევებულ ქართულ ფორმებად მიიჩნია.

უ — ეს: უფროობითი ხარისხის ფორმები იწარმოება:

ა) უმთავრესად ვითარებითი ზედსართავი სახელისაგან: უ-ძველ-ეს-ი, უ-მხვილ-ეს-ი, უ-ახლ-ეს-ი, უ-ბრძნ-ეს-ი... იშვიათად — ბ) მიმართებითი ზედსართავი სახელისაგან: უ-გემრ-იელ-ეს-ი, უ-გულ-ით-ად-ეს-ი, უ-მნიშვნელ-ოვან-ეს-ი, უ-პატი-ოსნ-ეს-ი... გ) მიმლეობისაგან: უ-მჯობ-ეს-ი, უ-სა-ცოდ-ავ-ეს-ი, უ-სა-სურვ-ელ-ეს-ი, უ-განათლებ-ულ-ეს-ი... დ) რიტხვითი სახელისაგან: უ-პირველ-ეს-ი, უ-მრავლ-ეს-ი, ე) ზმნისართისაგან: უ-წესთა-ეს-ი, უ-წენა-ეს-ი, უ-ადრ-ე-სი...

⁷² არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი ავებულება..., გვ. 60.

⁷³ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 140.

⁷⁴ თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში: ოსუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 236.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვევებული ფორმები ქართულში: იკე, IX—X, თბ., 1958, გვ. 101.

უ — ოს: უფროობითი ხარისხის რამდენიმე ფორმა უ — ოს-მა-წარმოებლიანია: უ-მსხ-ოს-ი, უ-ფრ-ოს-ი, უ-მცრ-ოს-ი, უ-ტკბ-ოს-ი.

მო — ო: ოდნობითი ხარისხის აღსანიშნავად მო — ო აფიქსები დაერთვის ვითარებით ზედსართავ სახელებს: მო-თბ-ო, მო-მუჯ-ო, მო-ძველ-ო, მო-ბნელ-ო, მო-ადვილ-ო, მო-მწვან-ო, მო-თეთრ-ო, მო-მღაშ-ო, მო-გრძ-ო, მო-რუხ-ო, მო-შავფრ-ო, მო-ცისფრ-ო... ამგვარადვეა ნაწარმოები: მო-ჩერჩეტ-ო, მო-სულელო, მო-ძუნწ-ო...

ხუთიოდე შემთხვევაში მო — ო კონფიქსი არსებით სახელს დაერთვის და აღნიშნავს იმ პირს, ვისაც ფუნქთ დასახელებულ მოკლენასთან ან საგანთან აქვს მცირეოდენი კავშირი: მო-მეზარცხენ-ო, მო-კადეტო, მო-ფაშისტ-ო, მო-ლიბერალ-ო, მო-ბოლშევიკ-ო, მო-ფილოზოფოს-ო...

ზემოდასახელებული „სიტყვები ადასტურებენ, რომ მო — ო მწარმოებელი არა მხოლოდ დღესაც მოქმედია, არამედ მოქმედების არესაც იფართოებს — პუბლიცისტიკის ენაშიც მოიხმარება“⁷⁷.

წა — ო: ოდნობითი ხარისხის ფორმათა საწარმოებლად თითო-ორიოლა შემთხვევაში წა — ო კონფიქსიც იხმარება: წა-წითალ-ო, წა-ყვითალ-ო, წა-ლურჯ-ო, წა-ფერდ-ო... წა — ო უმოავრესად ფერის აღმნიშვნელ სახელებთან გვხვდება. შდრ.: წა-წითალ-ო და მო-წითალ-ო, წა-ყვითალ-ო და მო-ყვითალ-ო, წა-ლურჯ-ო და მო-ლურჯ-ო... ზემოდასახელებული ფორმები ოდნობითი ხარისხისაა, მაგრამ მათ შორის მცირე სემანტიკური სხვაობა მაინც საგრძნობია. მაგ.: წა-წითალ-ო — რასაც წითელი ფერი გადაჰკრავს; მო-წითალ-ო — ოდნავ წითელი.

ხარისხის სახელთა გაანალიზება კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ შედარებითი ხარისხის ორგანული წარმოების ფორმები მწიგნობრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში უფრო გავრცელებულია აღწერითი წარმოება.

X. გეოგრაფიული სახელები

-ეთ, -სა — ეთ, -ობ, -ო

გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად ქართულში სხვადასხვა სა-შუალება არსებობს. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია ტობონიმთა წარმოების ძირითადი მოდელები. ამიტომ გავაანალიზებთ მხო-

⁷⁷ ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, გვ. 143.

ლოდ საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსებით მიღებულ ფორმებს: -ეთ, სა — ეთ, -ნარ. -ობ, -ო-მაწარმოებლიანებს.

-ეთ: გეოგრაფიულ სახელთა წარმოსაქმნელად ძირითადად -ეთ სუფიქსი იხმარება. იგი დაერთვის:

ა) ტომობრივ და ეთნიკურ სახელებს: აფხაზ-ეთ-ი, ჩერქეზ-ეთ-ი, ლეკ-ეთ-ი, ტაჯიკ-ეთ-ი...

ბ) აწარმოებს ქვეყნის მხარეთა სახელებს: აღმოსავლ-ეთ-ი, დასავლ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი.

გ) საზოგადო სახელებზე დართვით აღნიშნავს ადგილს: ხმელ-ეთ-ი, შუამდინარ-ეთ-ი, ზღვისპირ-ეთ-ი...

დ) აწარმოებს ტერმინებს: შიგნ-ეთ-ი (გეოლ. შიგნითა, ქერქის ქვეშა ნაწილი, VII), შორის-ეთ-ი (შუალედი, VII), უსასრულ-ეთ-ი (მათემ. სივრცის უსასრულოდ დაშორებული ნაწილი, VI).

ე) ამავე სუფიქსის დართვით არის შექმნილი: ვარდ-ეთ-ი, ლანდ-ეთ-ი, ვარსკვლავ-ეთ-ი, თოვლ-ეთ-ი, ბნელ-ეთ-ი, შორ-ეთ-ი, უკუნ-ეთ-ი, მოუსავლ-ეთ-ი, სულ-ეთ-ი, ბნელ-ეთ-ი, მკვდრ-ეთ-ი, ქვეშ-ეთ-ი (ვტ), გზ-ეთ-ი (ვტ), რომლებიც უპირატესად მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება და საერთო გაგრცელება ჯერ არ მოუპოვებიათ.

სა — ეთ ტომობრივ სახელთაგან აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს: სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-თათრ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი⁷⁸.

-ობ სუფიქსი ადგილის სახელთა მაწარმოებელია: ბურც-ობ-ი, გვერდ-ობ-ი, დაბლ-ობ-ი, ბეგ-ობ-ი, რბილ-ობ-ი, ცერ-ობ-ი, ვიწრ-ობ-ი, ღრანტ-ობ-ი, ტაფ-ობ-ი, მლაშ-ობ-ი...

აფიქსის ფუნქცია თავდაპირველად სწორად განსაზღვრა თ. ყორღანიამ: „-ობ-ი ხშირად იხმარება არსებით სახელად, ადგილმავითარებლად: როგორი ადგილები? დაბ-ლობ-ი, ვენახ-ობ-ი“...⁷⁹

-ობ- სუფიქსის ფუნქცია თავისებურად სახელთა სიმრავლე-კრებითობის აღნიშვნაა: ღრანტ-ობ-ი (→ღრანტე-ებ-ი), მლაშ-ობ-ი, რბილ-ობ-ი... სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ფართოდ გავრცელდა -ობ-მაწარმოებლიანი ფორმები: ბურც-ობ-ი (ტექნ. ამო-ბურცვილი (რამ), რელიეფი, 1), ბუდ-ობ-ი (ადგილი, სადაც ესა თუ ის სასარგებლო ნამარხი მოიპოვება, — საბადო, 1), ნავთ-ობ-ი (თხევადი ორგანული საწვავი ნივთიერება, V), ფართ-ობ-ი (1. გეომ. სიბრტყის ნაწილი, 2. სივრცე, 3. მაწის ნაკვეთი, VII), ჰაერბურთ-ობ-ი

⁷⁸ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 142. სა — ეთ-ით მაწარმოები სახელები მრავლადაა ვახუშტია გეოგრაფიისა და მხატვრული ლიტერატურის ენაში: სა-ბარკ-ეთ-ი, სა-კვირ-ეთ-ი, სა-ქარ-ეთ-ი... არნ. ნიქობაძე ა. ადგილის სახელთა წარმოების ტიპები..., გვ. 72.

⁷⁹ თ. ყორღანია, ქართული გრამატიკა..., ტფ., 1887, გვ. 91.

(სფერული აეროსტატი, VIII), რბილ-ობ-ი (რბილუელი, VI), ქან-ობ-ი (სპეც. ქანის ნაშალი, VII), ვარდნ-ობ-ი (გეოგრ. ჩავარდნილი, მეტად ღრმა ადგილი ზღვებსა და ოკეანეებში, IV), კუთხ-ობ-ი...

-ო: ამავე ფუნქციისაა -ო (←-ობ) სუფიქსი: ფერდ-ო (←ფერდ-ობ-ი), გვერდ-ო (←გვერდ-ობ-ი), გრილ-ო (მზეს მოფარებული ადგილი, — ჩრდილი, II), ფრიალ-ო, დობილ-ო//დობირ-ო (გურ. ვაკე ადგილი. სადაც ვაზია ხეებზე გაშენებული, III), კედარ-ო (გურ. იმერ.) მხარე, კიდე, IV), ლენჭუ-ო (იმერ. ნოტიო, ჭაობიანი ადგილი, IV), ჭენჭუ-ო (ნესტიანი, ჭაობიანი, VIII), წვერ-ო (რისაზე წაწვეტიებული ზედა ნაწილი, — წვერი, VIII), ჩერ-ო, ფლატ-ო, ღრანტ-ო...

გეოგრაფიულ სახელთა უმთავრესი მაწარმოებელია -ეთ⁸⁰ სუფიქსი, რომლის თავდაპირველი ფუნქცია სიმრავლე-კრებობობის აღნიშვნაა (გეოგრაფიულ სახელთა გარდა, ეგვე სუფიქსი გვარის სახელთა მაწარმოებელია)⁸¹. ამავე ფუნქციისაა -ებ→-ობ, რომელიც -ეთ-სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელებთან შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი ჩანს.

XI. მცენარეთა კრებული ალმნიშენილი სახელები

-ნარ, -ოვან, -ოსან, -ებრ, -ეზურ, -ნირ

-ნარ:

მცენარეთა კრებულის ალმნიშენელ მაწარმოებლად სპეციალურ ლიტერატურაში დასახელებულია -ნარ (→ -ნალ) სუფიქსი⁸². 1. იგი „აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე“⁸³: შამბ-ნარ-ი, ლედვ-ნარ-ი, გვიმრა-ნარ-ი, ძეძვ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, ძეწ-ნარ-ი... გაარსებობებულია მად-ნარ-ი.

2. -ნარ სუფიქსი იფართოებს ხმარების არეს და მიუთითებს ადგილზე, სადაც მრავლად მოიპოვება ფუძით აღნიშნული საგანი: ლოდ-ნარ-ი, ქვა-ვ-ნარ-ი, ხევ-ნარ-ი, ჩრდილ-ნარ-ი, ხილ-ნარ-ი, კაყ-ნარ-ი, კირ-ნარ-ი, ტორფ-ნარ-ი, კენჭ-ნარ-ი, თიხ-ნარ-ი, კოპიჭ-ნარ-ი... (კობიჭი — მიწა შეყინებული“. — საბა; მოყინული ან შექმნარი მიწა, IV). საინტერესოა რაჭულში გამოყენილი: როყ-ნარ-ი („თუ ნაზავი

⁸⁰ ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/თ სუფიქსისათვის: შრომები, ტ. III, 1959, გვ. 152.

⁸¹ არნ. ჩიჭობაგა. ადგილის სახელთა წარმოების ტიპები..., გვ. 70.

⁸² -ნარ სუფიქსის არსებობა პირველდ ნ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა და მას შემკრებლობითი უწოდა. იხ. მისი: ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 124.

⁸³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 124.

დიდი ლოდებისაგან შედგება, მას რაკვაში როცნარს უწოდებენ“, — ალ. ჯან. იხ. შ. ძიძ.) და რაკვა-ნარ-ი — („წერილი ელემენტებისაგან შემდგარი ნაზვავი“, — ალ. ჯან. იხ. შ. ძიძ.)⁸⁴.

მცენარეთა კრებულის, მიწის მრავალდამყოფობის ან გარკვეული ჯიშის სიმრავლის აღსანიშნავად სხვა ფუნქციის აფიქსებიც არიან გამოყენებული (უმთავრესად ნართანინი მრავლობითის ფორმით). მათ შესახებ მსჯელობა მოცემულია ქვემოჩამოთვლილ სუფიქსთა ანალიზისას: -იან, -ოვან, -ოსან, -ებრ, -ებურ, -ნაირი.

XII. კნინობითი სახელები

ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ არსებითად დააარვა კნინობითის ფორმები. ამ შინაარსის გადმოსაცემად ენა უმთავრესად მიმართავს აღწერით წარმოებას: სახლი — პატარა სახლი (შდრ. ძვ. ქართ. სახლ-აკ-ი). ამის მიუხედავად, მრავლად მოგვებოვება კნინობით სახელთა მაწარმოებლები, რომელთა უმრავლესობა დიალექტური წარმომავლობისაა, სალიტერატურო ენაში კი დასტურდება ამგვარად ნაწარმოები გაქვავებული ფორმები.

-ა-სუფიქსიანი კნინობითი სახელები ზემოთ განვიხილეთ. ახლა კი მას დაეუბრუნდებით, როგორც რთულ სუფიქსთა შემადგენელ ნაწილს.

-აკ ახალ სალიტერატურო ქართულში კნინობითობის სუფიქსთაგან ყველაზე პროდუქტიულია. ძველ ქართულში იგი თითქმის ერთადერთი მაწარმოებელი იყო: აგარ-აკ-ი, გალი-აკ-ი, დორ-აკ-ი, დან-აკ-ი, თხიერ-აკ-ი, კილოზან-აკ-ი, მროწეულ-აკ-ი, კნინ-აკ-ი, ნივოზ-აკ-ი, შვილ-აკ-ი, ტაბლ-აკ-ი (ძქელ), ახალ ქართულში კი ბასიური და იშვიათი ხმარებისა გახდა, ტექნიკურა ლიტერატურის ენამ -აკ სუფიქსი კვლავ აღჭურვა ახალი სასიცოცხლო ძალით: ზავირ-აკ-ი, თამას-აკ-ი, თვალ-აკ-ი, კბილ-აკ-ი, ლიდვ-აკ-ი, წილ-აკ-ი...

ზოგი აფიქსი გავრცელებულობის მიხედვით ეწიროდიალექტურია, მაგრამ ამგვარი წარმოების ერთეულები სალიტერატურო ქართულშიც დასტურდება: კაც-უნ-ა, ვაჭრ-უკ-ან-ა...

-აკ-ა: ჯორ-აკ-ა, ჭინტ-აკ-ა, თოფრ-აკ-ა...

-იკ-ა: ცუგრ-იკ-ა, ვარ-იკ-ა, ტომს-იკ-ა...

-უკ-ა: ბიჭ-უკ-ა, ბებრ-უკ-ა, წიგნ-უკ-ა...

-უა-||←-უკ-ა: ბაბ-უა, ძალ-უა, ბიჭ-უა...

იკ-ელ-ა: ვარ-იკ-ელ-ა, ტეტ-იკ-ელ-ა...

-იკ-ან-ა: ტიტლ-იკ-ან-ა, ლიბლ-იკ-ან-ა, წიწლ-იკ-ან-ა...

⁸⁴ შ. ძიძიუ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 202.

- უკ-ან-ა: ვაკრ-უკ-ან-ა...
- ალ-ა: ჩუმ-ალ-ა, კუდ-ალ-ა...
- ელ-ა: გორგ-ელ-ა, ფირფიტ-ელ-ა...
- უნ: ციც-უნ-ი, კატ-უნ-ი...
- უნ-ა: კაბ-უნ-ა, კუდ-უნ-ა, დათ-უნ-ა...
- ინ-ა: ტიკ-ინ-ა, პაწაწკ-ინ-ა...
- ნ-ა: გოგონ-ა, დოდონ-ა...
- უნ-ია: დათ-უნ-ია, ფრა-უნ-ია, ჩიტ-უნ-ია...
- უნ-ელ-ა: კარგ-უნ-ელ-ა...
- იტ-ა: ჩიჩქ-იტ-ა...
- ატ-ა: კოჭ-ატ-ა, ყურჭ-ატ-ა...
- ოტ-ა: ჩორჩ-ოტ-ა...
- უტ-ა: ხაბ-უტ-ა, ქინძრ-უტ-ა...
- უტ-ან-ა: ჭუჭრ-უტ-ან-ა...
- აც: ბარბ-აც-ი...
- იც-ა: გორ-იც-ა...
- უც⁸⁵: კეკლ-უც-ი, გვადრ-უც-ი, ტაგრ-უც-ი...
- უც-ა: კუნტრ-უც-ა, ფეხ-უც-ა, გოგ-უც-ა...
- უც-უნ-ა: ბებრ-უც-უნ-ა...
- აჭ: ვორგოლ-აჭ-ი, კოპ-აჭ-ი, ქერ-აჭ-ი...
- აჭ-ინ-ა: კორ-აჭ-ინ-ა|კვარ-აჭ-ინ-ა...
- იჭ: კობ-იჭ-ა...
- იჭ-ა: კვიჭ-იჭ-ა, კოჭ-იჭ-ა, ყვაჭ-იჭ-ა, ხახმიჭ-იჭ-ა...
- ეჭ: ქერ-ეჭ-ი...
- უჭ: პარკ-უჭ-ი, კა-უჭ-ი|←კაე-უჭ-ი, თაფლ-უჭ-ი, ტყავ-უჭ-ი
(→ტყავ-უჭ-ი)...
- უჭ-ა: პარკ-უჭ-ა, კვან-უჭ-ა, გვირ-უჭ-ა, გლენ-უჭ-ა, ეშმაკ-უჭ-ა,
კა-უჭ-ა...
- უჭ-ან-ა: პარკ-უჭ-ან-ა, კუკრ-უჭ-ან-ა...
- უხ-ან-ა: ბებრ-უხ-ან-ა...
- უხ-უნ-ა: ბებრ-უხ-უნ-ა...
- ოხ⁸⁶: გოგროხ-ი, ვორ-ოხ-ი...
- აჯ: ახტ-აჯ-ი...
- უჯ: ახტა-უჯ-ა (ალ დლონტი).

⁸⁵ ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, კეკელა და კეკელუცი: საიუბილეო კრებული „კეკელა იძუნი“, თბ., 1959, გვ. 29.

⁸⁶ გ. ბურჭულაძე, ხ-ს შემცველი ზოგი აფიქსისათვის ქართულში: თსუ სტუდენტთა XXIV კონფერენციის თეზისები, 1962.

თანხა ხმოვ	ნ	ღ	ჟ	ტ	ც	ჩ	ჭ	ხ	ჭ
ა	ან	აღ	აჟ	ატ	აც		აჭ		აჭ
ე		ეღ					ეჭ		
ი	ინ	იღ	იჟ	იტ	იც	ინ	იჭ		
ო				ოტ				ოხ	
უ	უნ	ულ		უტ	უც	ურ	უჭ	უხ	უჭ

კინობით სახელებში ორი შინაარსეული ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) სააღერსო: ცუგრ-იკ-ა, ფის-უნ-ია, დოდო-ნ-ა...

ბ) დამცირებითი: ვაჭრ-უკ-ან-ა, ვლენ-უჭ-ა, ბებრ-უხ-ან-ა...

კინობით სახელთა ძირითადი მაწარმოებელი -ა სუფიქსი, რომელიც საკუთარ სახელებსაც დაერთვის და საზოგადოსაც: პლატონ-ა, სიმონ-ა; ქაღ-ა, ბიკ-ა... ძველ ქართულში აქტიური -აკ სუფიქსი სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენამ ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენა: აგურ-აკ-ი, ბაგირ-აკ-ი, ლილვ-აკ-ი... დანარჩენი სუფიქსები: -ელ, -უნ, -უკ, -უჭ, -ურ... უმთავრესად -ა სუფიქსთან ერთად ქმნის რთულ სუფიქსს (იშვიათად ემატება -ინ, -ელ, -ია), ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მათ -ა სუფიქსის გარეშე კინობითობის დამოუკიდებლად წარმოების უნარი აღარ შესწევთ.

XIII. ბრუნვის ნიშნები წარმოქმნილ აზიასთა ფუნქციით

ბრუნვის ნიშნითა დერივატებად გამოიყენება ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამ ფუნქციით გვხვდება ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები: -ის, -ით, -იც, -ად⁸⁷. ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი სახელები ისეთ ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენება, რომლებიც საგანს ან მოვლენას იმ ზოგადი თვისების მიხედვით ახასიათებენ, რომლის შესაძლებლობასაც ეს საგანი ან მოვლენა შეიცავს⁸⁸.

⁸⁷ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 110.

⁸⁸ დ. მელიქიშვილი, სიტყვაწარმოების საერთო საშუალებანი იოანე ბეტრიწისა და ეფრემ მცირის ენაში; თსუ შრომები, სერია B, № 6-7, თბ., 1974, გვ. 119.

-ით: ძიებ-ით-ი, უანგვ-ით-ი, კუთხ-ით-ი, შიგნ-ით-ი...

-ივ: გან-ივ-ი, სწვრ-ივ-ი, წრფ-ივ-ი...

-ად: დრეკ-ად-ი, დენ-ად-ი, ფილ-ად-ი...

-ის: უჯრ-ედ-ის-ი, თვალ-ის-ი, მერმ-ის-ი...

ბრუნვის ნიშნებისა და თანდებულების გამოყენებას ახალ სიტყვათა შესაქმნელად საფუძველი ზუყარუს ძველმა ქართველმა ფილოსოფოსებმა იოანე პეტრიწმა და ეფრემ მცირემ. მათი სიტყვათხზვის ხელოვნება იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ქართულმაც ფართოდ გამოიყენა ეს წესები ახალ ტერმინთა შეაქმნელად.

XIV. თანდებულები და მძებნელების სხვა ნაწილები წარმოქმნილ აზრითა ფუნქციით

სახელთა წარმოქმნილი აფიქსების ფუნქციით ზოგჯერ გვხვდება თანდებულები, ზმნისართები და მსგავსების აღნიშვნელი სხვა ლექსიკური ერთეულები.

თანდებულთაგან ახალ ქართულ ენაში დერვივატებად გვხვდება: -ებრ (→-ებურ), -მირ, -გან.

-ებრ სუფიქსი მსგავსების აღნიშვნელია: კარვ-ის-ებრ-ი, ნამგლ-ის-ებრ-ი... ღვთა-ებრ-ი, კაც-ებრ-ი...

-ებრ თანდებული ნარიანი მრავლობითის ფორმით მცენარეთა კრებულს აღნიშნავს: ბაიას-ებრ-ნ-ი, ვარდ-ის-ებრ-ნ-ი, მიხაკ-ის-ებრ-ნ-ი (სულ 32).

-ებრ თანდებული (დერვივატი) „-ურ სუფიქსის გავლენით გადაკეთდა -ებურ-ად: დომ-ის-ებურ-ი...“⁸⁹

-მირ ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან აწარმოებს საენათმეცნიერო ტერმინებს: ბაგ-ისმირ-ი, კბილ-ის-მირ-ი, ხორბ-ის-მირ-ი...

-გან თანდებულით წარმოქმნილ სახელს „მცენარეულთა აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა“⁹⁰. იგი თანაინი მრავლობითის ფორმისაგან წარმოქმნილობის აღნიშვნელია: მღვდელ-თ-ა-გან-ი, ძველ-თ-ა-გან-ი, კაც-თ-ა-გან-ი...

მსგავსების აღსანიშნავად ნაირ, -თანა, -გვარ-დერვივატიანი ფორმებიც გვხვდება:

-ნაირ: ხერხ-ნაირ-ი, მრავალ-ნაირ-ი, ფუნჯ-ნაირ-ი... ობობას-ნაირ-ნ-ი, გვიმრა-ნაირ-ნ-ი...

-თანა: დედ-ის-თანა, ამ-ის-თანა...

⁸⁹ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, გვ. 118.

⁹⁰ იქვე.

- გვარ: მაწარმოებელი უმოავრესად ნაცვალსახელებს დაერთვის: ამ-გვარ-ი, იმ-გვარ-ი...

ზმნისართული წარმოშობის მაწარმოებლები: -ჭერ, -მაგ, -კეც რიცხვით სახელებს დაერთვიან და ჭერადობას აღნიშნავენ: შვიდ-მაგ-ი, სამ-მაგ-ი, ათას-ჭერ-ი, შვიდ-კეც-ი...

ამავე ფუნქციისაა გზ-ის აფიქსიც: მრავალ-გზ-ის-ი...

XV. უზნოშარაფიკაზიანი სახელები

აფიქსთა სესხება უნდა განვასხვაოთ ნასესხებ სიტყვებთან ერთად შემოსული აფიქსებისაგან. მაგ., სოციალ-ისტ, კომუნ-ისტ სიტყვებში არსებული -ისტ აფიქსი ნასესხებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ნასესხებია აფიქსი მაწინ, „თუ ერთი ენის აფიქსი მეორე ენის სიტყვებში ფუძის მაწარმოებლად (ანდა ფლექსიად) არის გამოყენებული: კუჭ-ისტ-ი⁹¹.

აღმოსავლურ ენებთან კონტაქტებმა ქართულში სამი სპარსული აფიქსი დაამკვიდრა: დანიშნულების გამოხატველი -დან და -ხანა და პროფესიის მაწარმოებელი -ღარ⁹². ეს აფიქსები მალე უარყო ქართულმა ენამ და სანაცვლოდ საკუთარი აფიქსებით მაწარმოები სიტყვები გაააქტიურა: ჩაი-ხანა — საჩაი-ე, აგურ-ხანა — აგურის ქარხანა (სა-აგურ-ე).

უკანასკნელ ხანებში ევროპაში გავრცელდა ბერძნული წარმოშობის -იზმ, -ისტ და ანტი-⁹³ აფიქსები, რომელნიც ქართლისათვისაც აქტიურ მაწარმოებლებად იქცნენ: ტრაქტორ-ისტ-ი, ტანკ-ისტ-ი, კუჭ-ისტ-ი, ქრთამ-ისტ-ი, ჩანგალ-ისტ-ი... ირონიული ელფერისაა⁹⁴.

უცხო აფიქსთა მომრავლება ენის გრამატიკული წყობის შერყევის მაუწყებელია⁹⁵.

აფიქსთა ფუნქციები

დერივაციული აფიქსები, რომლებიც შემოთ სათანადო სემანტიკურ ჩუქვებში განვიხილეთ, ფუნქციის მიხედვით არაერთგვაროვანნი არიან. მაგ., ქონების სახელთა ჩუქვში შეშავალი აფიქსები პარალელურად წარმოშავლობის, თვისების, მსგავსების, მცენარეთა კრებულისა

⁹¹ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 247.

⁹² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 145.

⁹³ იქვე.

⁹⁴ შ. კეკელია, ავ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973, გვ. 68.

⁹⁵ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 247.

და პროფესიის აღმნიშვნელია, ასევე აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლები ზოგჯერ თვისებასა და კრებითობაზედაც მიუთითებენ და ა. შ. აფიქსთა ამ თვისების — მრავალფუნქციანობის გამოსავლენად ანბანის რიგზე წარმოვადგინეთ აფიქსები და ვაიკვნეთ მათი ფუნქციები შესაბამისი საილუსტრაციო მასალითურთ.

1. -ა: 1. კნინობითობა: აზნაურ-ა, ბიქ-ა, ბეყან-ა...
2. ქონება: ულვაშ-ა, კაეჭ-ა, პერანგ-ა...
3. თვისება: ბარბაც-ა, ზოზინ-ა...
4. მსგავსება: ისარ-ა, ქერ-ა, ვარდვანაფ-ა...
2. -ად: 1. თვისება: აალებ-ად-ი, ფილ-ად-ი...
3. -აჲ: 1. კნინობითობა: ბავირ-აჲ-ი, ვორ-აჲ-ი...
4. -აჲ: 1. კნინობითობა: ვორგოლ-აჲ-ი...
5. -გან: 1. წარმომავლობა: კაც-თ-ა-გან-ი...
6. -გვარ-ი: 1. თვისება-მსგავსება: ამ-გვარ-ი, შვიდ-გვარ-ი...
7. გზის-ი: 1. ჯერადობა: ხუთ-გზის-ი, მრავალ-გზის-ი...
8. -დეღ: 1. როდინდელობა-წარმომავლობა: დილა-ნ-დეღ-ი...
9. -ება: 1. აბსტრაქტულობა: ძლიერ-ება...
10. -ებრ/→ებურ: 1. მსგავსება: ბადის-ებრ-ი...
2. მცენარეთა კრებული: ბაიას-ებრ-ი...
11. -ედ: 1. ქონება: გან-ედ-ი, უჯრ-ედ-ი...
12. -ეთ: 1. გეოგრაფიული სახელი: ალბან-ეთ-ი, კახ-ეთ-ი...
13. -ელ: 1. ადამიანთა წარმომავლობა-სადაურობა: ქალაქ-ელ-ი...
2. მიმდევრობა: ლენინ-ელ-ი, ეპიკურ-ელ-ი...
14. -ეულ: 1. კუთვნილება-წარმომავლობა: დედ-ის-ეულ-ი...
2. კრებითობა: თესლ-ეულ-ი...
3. ქონება: სნ-ეულ-ი, ფას-ეულ-ი, ვრც-ეულ-ი...
15. -თანა: 1. მსგავსება: ამის-თანა...
16. -იან: 1. ქონება: ეანგ-იან-ი, ენამზ-იან-ი...
2. წარმომავლობა: ოთარა-იან-თ-ი...
3. მცენარეთა კრებული: თხილ-იან-ი...
17. -იერ: 1. ქონება: ლმოზ-იერ-ი, ნივთ-იერ-ი...
2. წარმომავლობა-სადაურობა: დასაბამ-იერ-ი...
18. -ივ: 1. თვისება: ერთმხრ-ივ-ი, განუწყვეტლ-ივ-ი...
19. -ით: 1. თვისება: გრეხ-ით-ი, მიმოხილვ-ით-ი...

29. -იკ/-ა/-ო: 1. კნინობითობა: ცუგრ-იკ-ა, დედ-იკ-ო...
21. -ილ-(ო): 1. კნინობითობა: მამ-ილ-ო...
22. -იონ: 1. წარმოშავლობა-სადაურობა: არხოტ-იონ-ი.
 2. კრებითობა: მაყრ-იონ-ი, დროშ-იონ-ი...
 3. პროფესია: ჯვარ-იონ-ი...
23. -ის: 1. თვისება: ჯაგრ-ის-ი...
24. ი-ურ: 1. წარმოშავლობა-სადაურობა: ქვეყნ-იურ-ი...
 2. თვისება: ნზ-იურ-ი...
 3. მსგავსება: წრ-იულ-ი...
25. -იც-(ა): 1. კნინობითობა: გორ-იც-ა...
26. -იჭ: 1. კნინობითობა: კოპ-იჭ-ი...
27. -კეც: 1. ჯერადობა: მრავალ-კეც-ი...
28. -მაგ: 1. ჯერადობა: შვიდ-მაგ-ი...
29. მე — ე: 1. პროფესია: მე-დილეგ-ე, მე-ფოლად-ე...
 2. რიგობითი სახელი: მე-ხუთ-ე...
30. მე — ედ: 1. წილობითი სახელი: მე-ხუთ-ე-დ-ი...
31. მე — ურ/ულ: 1. პროფესია: მე-ბად-ურ-ი, მე-გზ-ურ-ი...
32. მიერ-ი: 1. თვისება: ნების-მიერ-ი,
 2. წარმოშავლობა: ხორხია-მიერ-ი...
33. (ა)-მდელ: 1. წინააღრთინდელობა: სკოლ-ა-მდელ-ი...
34. მო — ე: 1. პროფესია: მო-ადგილ-ე...
35. მო — ო: 1. ოდნაობითი ხარისხი: მო-თეთრ-ო...
36. ნა-: 1. წინა ვითარება: ნა-ზამთრ-ი, ნა-ზოლ-ი...
37. ნა — არ/ალ: 1. წინა ვითარება: ნა-ყამირ-ალ-ი...
38. ნა — ალ: 1. წილობითი რიცხვითი სახელი: ნა-ათ-ალ-ი...
39. -ნარ: 1. შცენარეთა კრებულ: წაბლ-ნარ-ი...
 2. ადგილი: ლოდ-ნარ-ი, კირ-ნარ-ი...
40. ნა — ევ (ნა-ებ): 1. წინა ვითარება: ნა-აბანო-ებ-ი...
41. -ნაირ: 1. მსგავსება: ისეთ-ნაირ-ი...
42. ნა — ურ/ულ: 1. წინა ვითარება: ნა-ვევრდ-ულ-ი, ნა-ფეხ-ურ-ი...
43. -ო: 1. ადგილი: გვერდ-ო, ფლატ-ო...
44. -ობ: 1. ადგილი: ბეგ-ობ-ი...
45. -ობა: 1. აბსტრაქტულობა: ა) თვისების აღმნიშვნელ სახელებში: ვერაგ-ობა...
 ბ) დროის აღმნიშვნელ სახელებში: გიორგ-ობა...

2. კ რ ე ბ ი თ ო ბ ა : ქ ა რ თ ვ ე ლ - ო ბ ა ...

46. -ოდე: 1. მ ი ა ხ ლ ო ე ბ ი თ ი ო დ ე ნ ო ბ ა : ხ უ თ ი - ო დ ე ...

47. -ოდენ-ი: 1. ზ ო მ ა - ო დ ე ნ ო ბ ა : ზ ლ ე ს - ო დ ე ნ - ი ...

48. -ოვან: 1. ქ ო ნ ე ბ ა : წ ა ხ ნ ა ვ - ო ვ ა ნ - ი ...

2. თ ვ ი ს ე ბ ა : ხ ა ვ ე რ დ - ო ვ ა ნ - ი ...

3. მ ც ე ნ ა რ ე თ ა ს ა ხ ე ო ბ ა , ჯ ი შ ი : რ თ უ ლ ყ ვ ა ვ ი ლ - ო ვ ა ნ - ი ...

49. -ოსან: 1. ქ ო ნ ე ბ ა : კ ა ლ მ - ო ს ა ნ - ი ...

2. პ რ ო ფ ე ს ი ა : ზ ლ ვ ა - ო ს ა ნ - ი ...

3. მ ი მ დ ე ე რ ო ბ ა : ჯ ვ ა რ - ო ს ა ნ - ი ...

4. მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა ხ ე ო ბ ა , ჯ ი შ ი : ჩ ლ ი ქ - ო ს ა ნ - ი , ფ ი რ ფ ი ტ - ო ს ა ნ - ი ...

50. სა-: 1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა - გ ა ნ კ უ თ ვ ნ ე ბ ა : სა - ს წ ო რ - ი , სა - შ რ ა ვ ე ლ - ი ...

51. სა — ე: 1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა - გ ა ნ კ უ თ ვ ნ ე ბ ა : სა - მ კ ლ ა ე - ე ...

52. სა — ეთ: 1. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი : სა - ფ რ ა ნ გ - ე თ - ი ...

53. სა — ო: 1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა - გ ა ნ კ უ თ ვ ნ ე ბ ა : სა - კ ბ ი - ლ - ო ...

2. თ ვ ი ს ე ბ ა : სა - პ ო ლ ე მ ი კ - ო ...

54. სა — ურ: 1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა - გ ა ნ კ უ თ ვ ნ ე ბ ა : სა - გ ვ ე რ დ - უ ლ - ი ...

55. სი — ე (→სი-ო): 1. ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ო ბ ა : ს ი - ა მ - ე ...

56. უ-: 1. უ ქ ო ნ ლ ო ბ ა : უ - რ ი ც ხ - ი ...

57. უ — ეხ (უ — ოხ): 1. უ ფ რ ო ბ ი თ ი ხ ა რ ი ს ხ ი : უ - დ ი დ - ე ს - ი ...

58. -უა-||→უა: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა ბ ე ბ რ - უ ე - ა , ბ ი ჭ - უ ა ...

59. -უნ-ა: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : ბ ი ჭ - უ ნ - ა ...

60. უ — ო: 1. უ ქ ო ნ ლ ო ბ ა : უ - სა ბ ა ბ - ო , უ - მ ა ნ კ - ო ...

61. უ — ურ: 1. უ ქ ო ნ ლ ო ბ ა : უ - პ ი რ - უ ლ - ი , უ - ბ ე დ - უ რ - ი ...

62. -ურ: 1. ნ ი ვ თ ი ს წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა - ს ა დ ა უ რ ო ბ ა : ფ შ ა - უ რ - ი ...

2. თ ვ ი ს ე ბ ა : ბ რ ი ყ ვ - უ ლ - ი ...

3. კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა - წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა : გ ო ვ ო ლ ა - უ რ - ი ...

63. -უც: 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : კ ე კ ლ - უ ც - ი , ბ ე ბ რ - უ ც - უ ნ - ა ...

64. -უბ-(ა): 1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ა : გ ლ ე ხ - უ ჭ - ა ...

65. -ფერ-ი: 1. მ ს გ ა ე ს ე ბ ა : ჩ ე მ - ფ ე რ - ი ...

66. ნა — ო: 1. ო დ ნ ა ო ბ ი თ ი ხ ა რ ი ს ხ ი : წ ა - წ ი თ ა ლ - ო ...

67. -ჯერ-ი: 1. ჯ ე რ ა დ ო ბ ა : ა თ - ჯ ე რ - ი ,

დერივაციულ აფიქსთა მეშვეობით შექმნილი ლექსიკურ-სემანტიკური კლასების შესწავლა ლექსიკოლოგიის საგანია⁹⁶. წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფების კლასიფიკაცია საჭიროებს დაზუსტებას. იმის გამო, რომ ზოგ აფიქსს რამდენიმე მკვეთრად დაპირისპირებული ფუნქციის გამოყენის უნარი აქვს (მაგ., -ეულ, -ობა, -იან...), ზოგმა კი მნიშვნელოვნად გაიფართოვა ხმარების არე (მაგ., -ნარ, -ოსან, -ოვან...). საჭირო გახდა ზემოვანხილული ფუნქციების გათვალისწინებით წარმოგვედგინა ახალი სემანტიკური კლასიფიკაცია შესაბამისი მაწარმოებლებითურთ.

1. ქონების სახელები: ა, -ედ, -ეულ, -იან, -იერ, -ოვან, ოსან.
2. უქონლობის სახელები: უ — ო, უ — ურ, უ-, უ — არ.
3. წარმომავლობის სახელები: -გან, -დელ, -ელ, -ეულ, -იან, -იერ, -იონ, -იურ, -ურ, (ა)-მდელ, -შიერ.
4. ხელობის, პროფესიის სახელები: -ელ, მე — ე, მე — ურ. მო — ე, -ოსან, -ისტ.
5. აბსტრაქტული სახელები: -ება, -ობა, სი — ე (სი — ო).
6. დანიშნულების სახელები: სა — ე, სა — ო, სა — ურ, სა-, სა — არ.
7. წინა ვითარების სახელები: ნა-, ნა — ევ (ნა — ებ), ნა — არ, ნა — ურ.
8. მსგავსების სახელები: -ა, -ებრ (ებურ), -იურ, -ნაირ, -გვარ, -თანა.
9. კრებითობის სახელები: -ეულ, -ებრ(-ებურ), -იან, -იონ (-ონ), -ნარ, -ობა.
10. მიმდევრობის სახელები: -ელ, -ოსან, -იჴმ.
11. რიცხვითი სახელები: -ეულ, მე — ე, მე — ე-დ, ნა — აღ.
12. ხარისხის სახელები: უ — ეს (უ — ოს), მო — ო, წა — ო.
13. გეოგრაფიული სახელები: -ეთ, სა — ეთ, -ობ, -ო, -ნარ.
14. კნინობითი სახელები: -ა, -ან, -აჴ, -იკ, -ილ, -უჴ, -უჴ, -უჴ-უნ.
15. ზომა-ოდენობისა და ჯერადობის სახელები: -ოდენ, -ოდე, კეც, -მაგ, -ჴერ, -გზის.

შეიძლება დავასკვნათ: ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში წარმოქმნილ სახელთა 16 სემანტიკური ჯგუფი გამოიყოფა, რომელშიც განაწილებულია 67 აფიქსი (პრეფიქსები, სუფიქსები და კონფიქსები).

⁹⁶ ბ. ფონსტა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, გვ. 135.

ამ აფიქსთა სამოქმედო ძალა განსხვავებულია, რაც საგრძნობია ძველი და ახალი ქართულის მონაცემთა შეპირისპირების დროსაც. მაგ., ძველ ქართულში ნაკლებ მოქმედმა აფიქსებმა: -იან, -ა, -ელ, -ურ, -ეულ, -ობა, -ობ... ახალ ქართულში მნიშვნელოვნად გაიფართოვა სამოქმედო არე და ახალი ფუნქციები შეიძინა: -ა ტერმინთა შესაქმნელად გამოიყენეს, -ურ თვისების აღმნიშვნელი გახდა, -ელ მიმდევრობასა და მოსაქმეობაზე მიუთითებს, -ეულ კრებითობის ფუნქციისა, -ობ ადგილის სახელებს აწარმოებს, ხოლო ძველ ქართულში მოქმედი -ოვან, -ოხან, -ედ, -აკ, -ით, -ად, -ივ, რომელთა ხედრითი წონა ახალ ქართულში ძალიან შემცირდა, სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენამ კვლავ გაააქტიურა და ახალი სასიცოცხლო ძალით აღჭურვა: ხრტილ-ოვან-ი, ფრიად-ოხან-ი, თად-ედ-ი, ბაგირ-აკ-ი, ჟანგვ-ით-ი, დრეკ-ად-ი, გრძ-ივ-ი, წრფ-ივ-ი... სპეციალური სიტყვები შექმნილია ქართული სიტყვის ოდინდელი სააღმშენებლო მასალით — ქართულში არსებული ფუძეებისა და ქართულშივე არსებული მორფემების შეერთებით⁹⁷. ახალ სიტყვათა წარმოსაქმნელად ენა იშვიათი ხმარების აფიქსს მიმართავს.

საგრძნობია -ურ-შემადგენლიან კონფიქსთა (ხა — ურ, მე — ურ, ნა — ურ. უ — ურ) და ოდენბრეფიქსით (ნა, ხა-) ნაწარმოებ სახელთა როლის ზრდაც.

სემანტიკური ჯგუფის საზღვრებში აფიქსთა მონაცვლეობა ზოგჯერ მნიშვნელოვანი სემანტიკური გადახრით აღინიშნება (მდრ. ხა-თვალ-ე და ხა-თვალ-ო, ცხიმ-იან-ა და ცხიმ-ოვან-ი...).

საყურადღებოა, რომ იდენტური შინაარსის კონფიქსები (უ — ო, უ — ურ; ხა — ო, ხა — ე, ხა — ურ; ნა — ევ, ნა — არ, ნა — ურ; მე — უ, მე — ურ) განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ ფუძეებთან შეხამებადობის თვალსაზრისით⁹⁸: -ურ-შემადგენლიანი კონფიქსი დაერთვის მხოლოდ უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართულ ფუძეს, -ე-შემადგენლიანი კონფიქსი დაერთვის მხოლოდ ა, ე ხმოვნებზე დასრულებულ და თანხმოვანფუძიან ერთ- ან ორმარცვლიან ქართულ ფუძეებს (გამონაკლისია მხოლოდ მე — ე კონფიქსით ნაწარმოები ფორმები), ხოლო -ო-შემადგენლიანი კონფიქსი შეუზღუდავია ფუძეთა შერჩევის თვალსაზრისით: დაერთვის ყველა ხმოვანსა და თანხმოვანზე დასრულებულ ერთ-, ორ-, სამ- და მრავალმარცვლიან ქართული და უცხო წარმომავლობის სახელებს.

⁹⁷ ბ. ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია, გვ. 108.

⁹⁸ მ. ტუსკია. სახელთა წარმოქმნელი კონფიქსების ფუძეებთან მიმართებით: სათეს: ძსუ შრომები, ენათმეცნიერება, № 187, 1977, გვ. 110—123.